ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს №9 სხდომის ოქმი

თბილისი **26.06.07**

სხდომას თავმჯდომარეობდა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია. სხდომას ესწრებოდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 23 წევრი:

1. მიხეილ ჩიკვილაძე
2. ქეთევან მარშავა
3. ნუგზარ თოდუა
4. სოფიო ქვარცხავა
5. დავით კერესელიძე
6. შოთა სამსონია
7. კობა გელაშვილი
8. ამირან ბიბილაშვილი
9. მერი მემარნიშვილი
10. მარი მენთეშაშვილი
11. რევაზ გოგშელიძე
12. მარიამ ჩეკურიშვილი
13. ზურაბ ფაღავა
14. ილია მესხიშვილი
15. თათია მჟავანაძე
16. გიორგი გოგსაძე
17. ირაკლი აბესაძე
18. კახაბერ ლორია
19. რამაზ ქურდაძე
20. ცირა ბარამიძე
21. ნინო ლომოური
22. დამანა მელიქიშვილი
23. ავთანდილ აბდუშელიშვილი

სხდომას მოწვეული პირის სტატუსით ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

<u>დღის წესრიგი</u>

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხი;

1. წარმოამდგენლობითი საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხი. გაიმართა დისკუსია. სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა

საკითხის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოამდგენლობითი საბჭოს წევრები: გიორგი გოგსაძე, თათია მჟავანაძე, დამანა მელიქიშვილი, ცირა ბარამიძე, ზურაბ ფაღავა, ავთანდილ აბდუშელიშვილი და სხვები.

კენჭისყრაზე დადგა 2 საკითხი:

ა) აკადემიური საბჭოს წინადადებების გაზიარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხთან დაკავშირებით;

ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების ლიკვიდაცია

<u>მიღებული გადაწყვეტილებები</u>

1. წარმომადგენლობითმა საბჭომ ღია კენჭისყრით გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილ წინადადებებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციის თაობაზე. გადაწყვეტილებას ხმა მისცა 17 წევრმა, წინააღმდეგი- 1, თავი შეიკავა 5 წევრმა.

2. წარმომადგენლობითმა საბჭომ ღია კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება, უნივერსიტეტის ფილიალების ლიკვიდაციის პროცესი დასრულდეს 2007-2008 სასწავლო წლამდე. გადაწყვეტილებას ხმა მისცა 17 წევრმა, წინააღმდეგი- 1, თავი შეიკავა 5 წევრმა.

დანართი:

1. აკადემიური საბჭოს 2007 წლის 26 ივნისის № 4 მიმართვა წარმომადგენლობითი საბჭოსადმი.

სხდომის თავმჯდომარე — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — მარიამ ჩეკურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 4 "26" ივნისი 2007 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობით
საბჭოს

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციის თაობაზე აკადემიური საბჭოს წინადადებებს:

1. სოხუმის ფილიალი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სახით;
2. ზუგდიდის ფილიალის ბაზაზე შეიქმნას კოლეჯი;
3. მესხეთის ფილიალის ბაზაზე შეიქმნას ინსტიტუტი;
4. ოზურგეთის ფილიალის ბაზაზე შეიქმნას სახელობო სკოლა ან ლიკვიდირებულ იქნეს.
5. სიღნაღის ფილიალის ბაზაზე შეიქმანს კოლეჯი;
6. ფოთის ფილიალი ლიკვიდირებულ იქნეს;
7. ქვემო ქართლის ფილიალი ლიკვიდირებულ იქნეს. ეთხოვოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. მარნეულში არსებული ინსტიტუტებისა და ფილიალების ბაზაზე დამოუკიდებელი კოლეჯის ჩამოყალიბება.

პროფესორი გიორგი ხუბუა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ჭავჭავაძის გამზ. 1, თბილისი 0128, საქართველო
1 Chavchavadze ave., 0128 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.ge

ტელეფონი +995 32 220241 Tel
ფაქსი +995 32 225107 Fax
ელ ფოსტა akademi@tsu.ge email